სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის როლი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში

უცხოელი და ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების მიერ მუნიციპალიტეტების ეკონომიკური განვითარებისადმი მიძღვნილი ნაშრომები და განვითარებულ ქვეყნებში უკვე აპრობირებული მეცნიერული მიღწევები, საქართველოს მუნიციპალიტეტებში არსებული ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი გაზრდის საფუძველი უნდა გახდეს.



ბორის ჭიჭინაძე
აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლებია: **„საქართველოს კონსტიტუცია“, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონი, ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ”** და სხვა ნორმატიული აქტები, ხოლო თბილისის შემთხვევაში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის უფლებამოსილებანი განისაზღვრება **„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონითა და “საქართველოს დედაქალაქის - თბილისის შესახებ”** საქართველოს კანონით. მაღალმთიან რეგიონებში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დამატებითი უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები კანონით უზრუნველყოფენ ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარებისთვის საჭირო, შესაბამისი სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალურ-ფინანსური პირობების შექმნას და ხელს უწყობენ საქართველოს მოქალაქეებს ადგილობრივი თვითმმართველობის უფლების განხორციელებაში.

ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და ხელშეწყობის შესახებ სახელმწიფო პროგრამების დამტკიცება და განხორციელება;

ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის სფეროში კანონით დადგენილი სახელმწიფო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა;

გ) მინიმალური სახელმწიფო სოციალური სტანდარტების დადგენა და მისი უზრუნველყოფა;

დ) სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტების ურთიერთობის რეგულირება, ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის გადასაცემი გამოთანაბრებითი ტრანსფერის განსაზღვრა და უზრუნველყოფა;

ე) თვითმმართველი ერთეულებისთვის იმ დამატებითი გადასახდელების კონპესაცია, რომლებიც გაწეულ იქნა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა გადაწყვეტილების შედეგად;

ვ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;

ზ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებათა გამიჯვნის უზრუნველყოფა და დაცვა;

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის (თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილება) თანახმად, თვითმმართველი ერთეული საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით. კანონით მკაცრადაა განსაზღვრული, რომ მხოლოდ თვითმმართველი ერთეულია უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება შემდეგ საკითხებზე:

ა) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადება, განხილვა და დამტკიცება, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ბ) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება, მისი განაკვეთების დადგენა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში:

გ) ინვესტირების მიმართულებების, საკუთარი, აგრეთვე ერთობლივი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად საჭირო სახსრების განსაზღვრა და თვითმმართველ ერთეულში ინვესტიციების ხელ-

შეწყობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხელშეკრულების დამტკიცება ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით სხვა თვითმმართველ ერთეულთან საბიუჯეტო სახსრების გაერთიანების შესახებ;

დ) ადგილობრივი მოსაკრებლების ამოღება;

ე) დასაქმების ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცება;

ვ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა და განკარგვა, თვითმმართველი ერთეულის ქონების ფლობის, განკარგვის და ქონებით სარგებლობის წესების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ზ) თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით კანონით განსაზღვრული იურიდიული პირების შექმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;

თ) თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული მიწის რესურსების მართვა და განკარგვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

ი) მიწათსარგებლობის დაგეგმვა, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის ზონებად (გამწვანების, დასვენების, სავაჭრო და სხვა სპეციალური ზონები) დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა.

დღეისათვის ადგილობრივი თვითმმართველობები ფუნქციონირებენ ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. იგი წარმოადგენს თვითმმართველობების ძირითად სამოქმედო კანონს. ამ კანონით რეგულირდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფუნქციები, განსაზღვრულია მათი უფლებები და მოვალეობები. ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო მოწყობა კი რეგულირდება საქართველოს კანონით, რომელიც ,,საბიუჯეტო კოდექსის“ სახელითაა ცნობილი. სწორედ ეს ორი კანონი არის ძირითადი ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, სხვა მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებთან ერთად.

საქართველოს კანონით **,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს გააჩნიათ საკუთარი უფლებამოსილებები:**

ა) ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და გაუქმება; ბ) ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის და წყლის რესურსების მართვა; გ) ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოსახლეობის მუნიციპალური ტრანსპორტით მომსახურებისა და ადგილობრივი გადაზიდვების წესების, ტრანსპორტის მარშრუტებისა და გრაფიკების განსაზღვრა და შესაბამისი ნებართვების გაცემა; დ) გარე ვაჭრობის, ბაზრებისა და ბაზრობების რეგულირება. ე) გარე რეკლამის განთავსების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ვ) საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება ან მათ განხორციელებაზე მუნიციპალური შესყიდვების ორგანიზება, სასაფლაოების პატრონობა; ზ) თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და შესაბამისი წესების განსაზღვრა, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის, განაშენიანების რეგულირების გეგმის, დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცება, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიის კეთილმოწყობისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამების დამტკიცება; თ) მუნიციპალური არქივის შექმნა და საარქივო მომსახურების ტარიფების დადგენა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით; ი) თვითმმართველი ერთეულის მუნიციპალური პროგრამების და გეგმების შემუშავება და დამტკიცება; კ) თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზირება, შესაბამისი ღონისძიებების (ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ჯანმრთელობის რისკფაქტორების იდენტიფიცირება) შემუშავება, განხორციელება და ამის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება.

როგორც საქართველოს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობის მონიტორინგმა გვიჩვენა, თვითმმართველობების აბსოლუტურ უმრავლესობაში (თითქმის 90%-ში) არ ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობების ზემოაღნიშნული საკუთარი უფლებამოსილებანი, რაც გამოწვეულია როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური მიზეზებით. ხშირ შემთხვევაში ამ საკუთარი უფლებამოსილებების შეუსრულებლობა გამოწვეულია იმით, რომ ცენტრსა და თვითმმართველობებს შორის არ არის უფლებამოსილებები მკაფიოდ გამიჯნული, ადგილებზე შეინიშნება საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლების ქრონიკული უკმარისობა და რაც მთავარია უმრავლესი მუნიციპალიტეტები განიცდიან კვალიფიციური საჯარო მოხელეების დეფიციტს.

კრიტიკას ვერ უძლებს ასევე საქართველოს კანონი **„საბიუჯეტო კოდექსის შესახებ”.** კანონის 65-ე მუხლში აღნიშნულია, რომ თითოეულ ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულს აქვს საკუთარი დამოუკიდებელი ბიუჯეტი, რომელიც დამოუკიდებელია როგორც სხვა თვითმმართველი ერთეულის, ასევე სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტისგან. საკუთარი უფლებამოსილებების განსახორციელებლად ადგილობრივ თვითმმართველობებს ეძლევათ გათანაბრებითი ტრანსფერი. გათანაბრებითი ტრანსფერის გამოანგარიშების წესი განისაზღვრება ფინანსთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. გათანაბრებითი ტრანსფერი ვერ უზრუნველყოფს თვითმმართველობების საკუთარი უფლებამოსილებების შესრულებას და მათ საბიუჯეტო დამოუკიდებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. არასაკმარისი ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლები თვითმმართველობების მუშაობაზე ნეგატიურად აისახება, რის გამოც ვერ ხდება რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ადგილობრივი თვითმმართველობები ცენტრზე დამოკიდებულნი ხდებიან.

რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის აუცილებელია ტერიტორიული და დარგთაშორისი განვითარების სრულყოფა, სახელმწიფო და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ინტერესების გათვალისწინებით, რამდენადაც სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკურ განვითარებაზეა დამოკიდებული ადგილებზე სოციალური პრობლემების ეფექტიანად გადაწყვეტა, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, მუნიციპალიტეტების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა და საერთო ჯამში რეგიონების კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად კი ადგილობრივ თვითმმართველობას არ გააჩნიათ არანაირი ბერკეტი იმისა, დაადგინოს მის სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საწარმოების მიერ წარმოებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების მოცულობა.

გამოშვებული პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის არარსებობა წარმოადგენს შემაფერხებელ ფაქტორს ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმვის პროცესში. ადგილობრივი ბიუჯეტები იგეგმება სპონტანურად ადგილებზე საბიუჯეტო გადასახადების შესახებ ინფორმაციის არარსებობის პირობებში.

აღსანიშნავია, რომ **„საბიუჯეტო კოდექსის"** შესახებ საქართველოს კანონით ადგილობრივი თვითმმართველობების ერთადერთ შემოსავალს დღეს მოქმედი გადასახადებიდან მხოლოდ ქონების გადასახადი წარმოადგენს. იგი მოიცავს, როგორც ფიზიკური და იურიდიული პირების ბალანსზე რიცხული ქონების გადასახადს. ასევე სასოფლო და არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადს, სწორედ ქონების გადასახადიდან მიღებული თანხები წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობების საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 20%-ს.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტების ანალიზმა აჩვენა, რომ ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის დამტკიცებისას არ ხდება იმის გაშიფვრა, თუ რომელი საწარმოებიდან ელიან ადგილობრივი თვითმმართველობები ბიუჯეტში გათვალისწინებულ ქონების გადასახადს (მათ შორის მიწის გადასახადს). ეს კი ქონების გადასახადის დაგეგმვისას დიდ უზუსტობას იწვევს, სწორედ ეს არის გამომწვევი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ზოგიერთ თვითმმართველობა ქონების გადასახადის გეგმას 200%-ით, ზოგიერთი კი მხოლოდ 40 %-ით ასრულებს.

კიდევ უფრო რთულად დგას საკითხი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებლის დაგეგმვის დროს. აღნიშნული მოსაკრებლიდან ამოღებული თანხები მთლიანად ირიცხება შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტებში. აღნიშნული მოსაკრებლიდან მისაღებ თანხებს ადგილობრივი თვითმმართველობები გეგმავენ წინა წლებში ფაქტიურად მიღებული შემოსავლების მიხედვით. ფაქტიურად არ ხდება იმ სახელმწიფო უწყებებიდან, როგორიცაა საქართველოს ბუნებრივი რესურსებისა და ენერგეტიკის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, კონსულტაციების მიღება, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გასცეს ზემოდაღნიშნულმა უწყებებმა შესაბამისი ლიცენზია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კუთხით. ასეთი არასწორი დამოკიდებულება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების კუთხით იწვევს ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის არაეფექტურ დაგეგმვას.

პრობლემურად დგას საკითხი ასევე იმის შესახებ, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს არ გააჩნიათ მონაცემები მათ სამოქმედო ტერიტორიაზე შემოსული და გასული ადგილობრივი თუ უცხოური ინვესტიციების მოძრაობის შესახებ. მოქმედი კანონმდებლობა თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი შესაბამის სტრუქტურებს არ ავალდებულებს შემოსული და გასული ინვესტიციების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს ადგილობრივი თვითმმართველობები. მოზიდული ინვესტიციები კი წარმოადგენს სწორედ ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ამა თუ იმ რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.

რეგიონული ეკონომიკური სისტემის განხილვამ ჩამოგვიყალიბა მოსაზრება, რომ საქართველოს მუნიციპალიტეტების ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად საჭიროა: **ა) ადგილობრივი რესურსული ბაზის გაფართოება და უნარჩენო თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა; ბ) ადგილობრივი ტერიტორიული ბიზნეს-საქმიანობის დივერსიფიკაცია, რათა მასზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისების შედეგად გამოწვეული მავნე ზემოქმედების მიუხედავად გაიზარდოს მათი მდგრადობა; გ) ადამიანური კაპიტალის წილის ზრდა რეგიონულ მთლიან კაპიტალში; დ) ფინანსური და რეალური სექტორების თანაბარზომიერად განვითარების უზრუნველყოფა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ ფაქტორს საფინანსო-საინვესტიციო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში.**

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია: **ა) სახელმწიფოსა და ადგილობრივი კერძო ბიზნესის ურთიერთქმედების ეფექტიანობის გაზრდა; ბ) ადგილობრივი ბუნებრივი და ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტურობის ზრდა; გ) ადგილობრივი თვითმმართველობების საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდა; დ) ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ზრდა თანამედროვე ევროპული მოთხოვნების შესაბამისად; ე) ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ზრდა ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების განხილვისა და მიღებისას; ვ) ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაციის მიზნით ადგილობრივი საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის ამაღლება და რაც მთავარი ადგილობრივი ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენება.**

მივიჩნევთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროა განხორციელდეს: **ა) ადგილებზე ვენჩურული საწარმოების დაფუძნება; ბ) ადგილობრივი საწარმოების დაბალპროცენტიანი და გრძელვადიანი სესხებით**

უზრუნველყოფის საქმეში თვითმმართველობების თანამონაწილეობა; გ) ადგილობრივი საწარმოების იპოთეკური კრედიტებით უზრუნველყოფა; დ) ადგილობრივი საწარმოების ლიზინგური მომსახურებით უზრუნველყოფა; ე) ერთობლივი საწარმოების დაფუძნება ადგილობრივი თვითმმართველობების თანამონაწილეობით; ვ) ადგილობრივი უმაღლეს საჯარო მოხელეთა სისტემატური მონაწილეობა თვითმმართველობების ტერიტორიაზე შექმნილ ამხანაგობების წევრებთან ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტის საქმეში; ზ) ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გააქტიურება ადგილობრივი საჭირბოროტო საკითხების ეფექტურად გადაწყვეტის საქმეში.

ასეთი კომპლექსური ღონისძიებების გატარების შემდეგ ადგილობრივი თვითმმართველობების მუშაობა უფრო ეფექტიანი გახდება, რაც მოგვცემს ისეთ პოზიტიურ შედეგებს, როგორიცაა: **მოსახლეობის ცხოვრების დონის ზრდა; ბიზნესის მაქსიმალურად განვითარება; განათლების დონის ამაღლება; მოსახლეობის საშუალო შემოსავლის დონის მომატება; სახელმწიფო და ადგილობრივ სერვის-მომსახურებებზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის ზრდა; მოსახლეობის მაქსიმალურად უზრუნველყოფა სხვადასხვა მომსახურებით (დენი, წყალი, ტელეფონი, ინტერნეტი, ტრანსპორტი და სხვა); გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის სისტემატურად გაუმჯობესება და მასზე მკაცრი მონიტორინგის დაწესება; ადგილობრივი საბიუჯეტო შემოსავლების დივერსიფიკაცია; მოსახლეობის მაქსიმალური ჩართულობა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტაში; თვითმმართველობების საჯარო მოხელეთა კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება შესაბამის სასწავლო და კვლევით ცენტრებში, როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში; ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული ხარჯვითი ნაწილის გამჭვირვალობა; ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების (ტყე, მდინარე, სასარგებლო წიაღისეული და სხვა) მართვაში თვითმმართველობის მაქსიმალურად ჩართულობა; ადგილობრივი სტატისტიკური სამსახურების ეფექტიანად მუშაობა; ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენება.**

მიგვაჩნია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობების კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ადგილობრივი ეკონომიკური პოლიტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: - **ინფრასტრუქტურის განვითარება; დახმარება სუბსიდიების სახით კონკრეტული პროექტების რეალიზაციისათვის; მცირე, საშუალო და მსხვილი ბიზნესის მიმართ დაბალანსებული პოლიტიკის გატარება; უცხოური კაპიტალის მოზიდვა.**

ვეთანხმები პროფ. **კ. ხმალაძეს,** იმასთან დაკავშირებით, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის საჭიროა რეგიონულ დონეზე შემდეგი ღონისძიებების გატარება: **- რეგიონის საექსპერტო პოტენციალისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლება; გარემოსდაცვითი ღონისძიებების გაუმჯობესება; მოსახლეობის დასაქმების, დემოგრაფიული და მიგრაციული პროცესების ანალიზი და შეფასება; რეგიონის ფინანსების და საინვესტიციო-პროგრამული საქმიანობის შეფასება; რეგიონის საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს შესწავლა; ტრანსსასაზღვრო და საერთაშორისო მნიშვნელობის შეფასება.**

პრაქტიკამ ცხადყო, რომ შეუძლებელია განვიხილოთ დამოუკიდებლად ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარება თუ ეს პროცესი ჰარმონიულ ურთიერთობაში არ არის ქვეყნის მთლიანი ეკონომიკის განვითარებასთან. ვიზიარებ პროფ. ნოდარ ჭითანავას მოსაზრებას იმის შესახებ, რომ **„ამჟამად ქვეყნის განვითარების საერთო-სახელმწიფოებრივი პრიორიტეტებია: - დემოკრატიული სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პროცესების გაძლიერება-დაჩქარება; საბაზრო-ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობის ამაღლება; განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სისტემების სწრაფი განვითარება, ამრიგად, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პრიორიტეტების ერთიანობა“.**

ადგილობრივი თვითმმართველობების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადასადგმელი მუნიციპალიტეტების დონეზე. პოსტსაბჭოური ქვეყნების გამოცდილების გაზიარებიდან გამომდინარე ამ მიმართულებებით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

- **ადგილობრივი ინფრასტრუქტურული ქსელის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოების კომერციულ სტრუქტურებთან დაკავშირება;**
- **ადგილობრივი სოციალური ორიენტაციის პროგრამების გაძლიერება;**
- **მუნიციპალიტეტების ეფექტურობის კომპლექსური ანალიზი.**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის როლს. კერძოდ, მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტების განვითარების როგორ სტრატეგიას აირჩევს ცენტრალური ხელისუფლება. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური მთავრობის მიერ არ იქნება ადეკვატური კანონები მიღებული, მუნიციპალიტეტების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება, რაც საბოლოოდ თვითმმართველობებში სოციალურ მდგომარეობას კიდევ უფრო დაამძიმებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“- საქართველოს ორგანული კანონი.

2. დერგაჩევი ი.ა., რეგიონალისტიკა (რუსულ ენაზე)-2008 წ.

3. საქართველოს ფინასთა სამინისტროს ოფიციალური ვებ.გვერდი--www.mof.ge.

4. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, თბ. 2001 წ.